ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 3

27 იანვარი
"---"---------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პაიჭაძის ქუჩა N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ის პირველ სართულზე არსებული 65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი N01.13.03.024.003) თხოვების უფლებით ააიპ - სოციალური დაცვის ლიგისთვის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი"-ს 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 14 იანვრის N02.08.33 განკარგულების საფუძველზე:

1.თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისში, პაიჭაძის ქუჩა N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N1-ის პირველ სართულზე არსებული 65 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი N01.13.03.024.003) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, არაუმეტეს 2 წლის ვადით, ააიპ - სოციალური დაცვის ლიგისთვის გადაცემაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 14 იანვრის N02.08.33 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი დაშტრიხული ნახაზის და დანართი 2-ით წარმოდგენილი თხოვების პირობების მიხედვით.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი